



დამტკიცებულიაკა  
დემიური საბჭოს 2022 წლის 12 აგვისტოს N11  
გადაწყვეტილებით

თვეუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 მარტის N03 გადაწყვეტილებით  
თვეუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის N15 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა /  
Georgian language preparation educational program

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: პირველი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 ECTS

სწავლის ხანგრძლივობა: 2 სემესტრი

1. პროგრამის აღწერა:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განვუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, რუსული, აფხაზურენოვანი) სკოლა; წინამდებარე პროგრამის მიზანია, არაქართულენოვან სტუდენტებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის ხედომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.) განსაზღვრული B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და შეძლონ ქართულ ენაზე სწავლა საბაკალავრო პროგრამებზე, სრულყოფილი კომუნიკაცია ქართულ ენაზე განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნებით, სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგება-გააზრება და შექმნა, ქართული სოციალურ-კულტურული რეალიების აღიარება და პატივისცემა, შემდგომში ქართული ენის ცოდნის გაღრმავება დამოუკიდებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაწყობრივი მახასიათებლის მიხედვით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ აბიტურიენტმა შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);

შესაბამისად, სტუდენტს უნდა შეეძლოს:

მოსმენა:

სალიტერატურო ნორმების ფარგლებში ისეთი სასაუბრო მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება ნაცნობ ან უცნობ თემებზე, რომლებსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას.

შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრის გაგება, თუკი ამ გამოსვლის თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია;

მიხვდეს მოსაუბრის ტონსა (საყვედურისა თუ მადლიერების...) და განწყობას.

კითხვა:

წაკითხული ტექსტიდან განსახილველი საკითხების მთავარი არსის გაგება;

თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები. წაიკითხოს და დეტალურად გაიგოს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელი ტექსტი (მაგ. სახელმძღვანელო, სტატია...),

საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ლექსიკონი.

სპეციალური სტატიების გაგება-გააზრება, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის/კონკრეტული პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

ლაპარაკი

მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა საუბარში, რომელიც ეხება ნაცნობ თემებს.

არა მარტო მოჰყვეს რაიმე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები.

ისაუბროს რაიმე მოვლენის, შთაბეჭდილების, დამოკიდებულების (დაინტერესების...) ან განცდის (გაკვირვება, სიხარული, წყენა),

არგუმენტირებულად გადმოსცეს, ახსნას და დაასაბუთოს საკუთარი აზრები, ვარაუდები.

წერა

კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა; წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება პროფესიულ / მისთვის ნაცნობ თემებზე.

ინტერკულტურული კომპეტენციები

აქვს განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება; იცის მრავალფეროვან საზოგადოებაში ქცევის წესები; შემწყნარებელია ზოგადად, განსხვავებული აზრის მიმართ.

სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (I და II ბლოკების) ჯგუფებში.

სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (I და II ბლოკების) ჯგუფებში.

A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს და მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას. B ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის (A2, A2+ და მეტი) მქონე სტუდენტებზეა გათვლილი.

პროგრამა შედგება სხვადასხვა დანიშნულებისა და მიმართულების საგნებისაგან, რომელთა ერთობლიობა და სწავლების თანამიმდევრობა ემსახურება მიზანს - მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ სწავლა ქართულ ენაზე საბაკალავრო პროგრამაზე და გამოიმუშაონ სოციოკულტურული კომპეტენციები.

## 2. პროგრამის სტრუქტურა:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 60 ECTS კრედიტიანია, გრძელდება 2 სემესტრის განმავლობაში, თითოეული სემესტრი მოიცავს 30 ECTS კრედიტს. პროგრამის 30 ECTS კრედიტი, პირველი სემესტრის ფარგლებში, დაეთმობა სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) მქონე სტუდენტთა ენის ცოდნის დონის გათანაბრებას. ინტენსიური სწავლების სტრატეგია უზრუნველყოფს მეორე სემესტრის ერთიანი სავალდებულო კურსებისათვის ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას მეორე ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. მეორე სემესტრის ფარგლებში, 25 ECTS კრედიტი დაეთმობა ქართული ენის სავალდებულო და 5 ECTS კრედიტიან სავალდებულო - არჩევითი სტატუსის მქონე დარგობრივი მიმართულების კურსებს: სამართალი, ბიზნესი, ფსიქოლოგია, მედიცინა. აღნიშნული დარგობრივი მიმართულების კურსები განკუთვნილია

საბაკალავრო პროგრამებისთვის სტუდენტთა მოსამზადებლად შესაბამისი სფეროს ტერმინოლოგიის, სპეციფიკური კონსტრუქციების, დარგობრივი ლექსიკის მიმართულებით.

პროგრამა მოიცავს შემდეგ კურსებს:

#### პირველი სემესტრი

##### I ბლოკი

- ქართული ენა - წერა, კითხვა 1.1 (10 კრედიტი)
- ქართული ენა - მოსმენა, ლაპარაკი 1.1 (10 კრედიტი)
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1. (5 კრედიტი)
- ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 1.1. (5 კრედიტი)

##### II ბლოკი

- ქართული ენა - წერა, კითხვა 1.2 (10 კრედიტი)
- ქართული ენა - მოსმენა, ლაპარაკი 1.2 (10 კრედიტი)
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.2. (5 კრედიტი)
- ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 1.2. (5 კრედიტი)

#### მეორე სემესტრი

- ქართული ენა - წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი 2 (10 კრედიტი)
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2 (5 კრედიტი)
- ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 2 (5 კრედიტი)
- ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) (5 კრედიტი)
- დარგობრივი ენა (5 კრედიტი)

#### იხ. დანართი 1

#### 3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დამვების წინაპირობა:

- ✓ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აფხაზურად /აზერბაიჯანულად/სომხურად/ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ [matsne.gov.ge/document/view/32830%23?scroll=0](http://matsne.gov.ge/document/view/32830%23?scroll=0));
- ✓ უცხოელ სტუდენტთა მიღება (ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე) განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ [matsne.gov.ge/document/view/32830%23?scroll=0](http://matsne.gov.ge/document/view/32830%23?scroll=0)) შესაბამისად.

#### 4. პროგრამის მიზნები:

- ✓ არაქართულენოვან სტუდენტებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით განსაზღვრულ B2 დონეზე, რათა სრულყოფილად შეძლონ საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელება;
- ✓ გამოუმუშავოს სტუდენტს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;
- ✓ შეძლოს ქართულ ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის გამოყენება, საკუთარი მოსაზრებების წერით და ზეპირად გადმოცემა;
- ✓ ქართული ენის ცალკეული უნარების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) დამოუკიდებლად შემდგომი გაღრმავება, გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) სტრუქტურის დაუფლება და ლექსიკის გამდიდრება;
- ✓ განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გამომუშავება;
- ✓ ქართული ენობრივ-კულტურული გარემოსა და ლირებულებების გაცნობა, დაფასებისა და პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;
- ✓ დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს, ქართულ აკადემიურ საზოგადოებასა და სოციუმში ინტეგრირებაში, რათა მათ იგრძნონ თავი მულტიეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან წევრებად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ განვითარებაში.

## 5.პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

1. აქვს საბაზისო ცოდნა ზოგადად ქართულ ენასა და მის მნიშვნელობაზე;
2. ფლობს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს;
3. იაზრებს ქართული ენის სისტემის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებას;
4. აქვს გარკვეული ცოდნა საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებზე, იცის ქართული კულტურის ურთიერთმიმართება სხვა ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებთან.

უნარი:

- 2.1. პრაქტიკულად იყენებს ქართულ ენას საკომუნიკაციო (ზეპირი/წერილობითი) და აკადემიური მიზნებისათვის;
- 2.2. აქვს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (დარგობრივი მიმართულებების მიხედვით) ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;
- 2.3. ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმართული სასაუბრო მეტყველების (ცოცხალი/ჩანაწერი) გაგებისა და გაანალიზების უნარს ნაცნობ თუ უცნობ თემებზე პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას;

## 2.4. იუენებს ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- 3.1. შეუძლია ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად;
- 3.2. ისმენს განსხვავებულ მოსაზრებებს და პატივს სცემს მათ, აყალიბებს საკუთარ პოზიციას ეთივის ნორმების დაცვით;
- 3.3. აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ; პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს.

## 6. დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე,

ბაკალავრიატში/ერთსაფეხურიან პროგრამებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

[matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?scroll=0](https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?scroll=0))

## 7. სწავლა-სწავლების მეთოდები

ლექცია, შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული

მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

სწავლება-სწავლის შესაბამისი აქტივობებია:

დისკუსია/დებატები - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს სამუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია

სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას;

ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;

დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

ანალიზის მეთოდი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, წერითი დავალების შესრულება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება;

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

## 8.შეფასების სისტემა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების შემდეგ ფორმებს: შუალედური და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ).

შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

თორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძღვა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების რუბრიკები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც რელევანტურია სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და მიმართულია სწავლის შედეგზე გასასვლელად.

## 9. სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, შეზღუდვების გარეშე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული აუდიტორიები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა და ა.შ.;
- სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა.

## 10. დანართები:

- [დანართი 1 - პროგრამის სტრუქტურა](#)
- [დანართი 2 - ძირითადი სწავლის შედეგების რუქა, სამიზნე ნიშნულები](#)
- [დანართი 3 - პროგრამის ხელმძღვანელის CV \(resume\)](#)
- [დანართი 4 - პროგრამის ადამიანური რესურსები](#)